*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2022 წელი

**ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სოხუმის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სოხუმის III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



01.20.01.104.059
01.20.01.104.043
01.20.01.104.055
01.20.29.104.033
NAPR
1 : 672

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავ-რე ქ-ნ ნინო ვარდოსანიძე

მოქ. ნინო თეხნელი
მცხ. ლისი წყნეთი სოხუმის ქ. 21 ა
ტელ. 595-503-580, 595.503-520
პ/ნ 01009006717

გ ან ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ლისი წყნეთში, ს.კ. 01.20.01.104.153-ს ტერიტორიაზე, სოხუმის ქუჩიდან 01.20.01.104.144-მდე მიმავალ ჩიხს, (ყოფილი საბჭოს ქუჩა 1), მიენიჭოს სოხუმის III ჩიხის სახელი, რადგან ეს ჩიხი ისტო-რიულად წარმოადგენდა ჩვენი ნაკვეთიდან და სხვიდან მისასვლელ ერთადერთ გზას.

ჩიხში არის 4 მეტრის სიგანის ასფალტირებული გზა და ამჟამად ჩიხი საკადასტრო რუკაზე მითითებულია როგორც სერვიტუტი.

მოგმართავთ თხოვნით, ზემოთ ხსენებულ ჩიხს მიენიჭოს სოხუმის III ჩიხის სახელი.

პატივისცემით,

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032209653**
თარიღი: **06/04/2022**
პინი: **5627**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნინო თუხარელის 2022 წლის 12 იანვრის საქმე #19/032201248-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს წყნეთში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას (ს.კ.01.20.01.104.153-01.20.01.104.144).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სოხუმის III ჩიხის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი